

# გ

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პაროქიარული კავშირების საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

**30** დეკემბერი, შაბათი, 1989 წ.  
№ 249 (10 168) ღ ზანი 8 კაპ.

გამომდის 1934 წლის 13 იანვრიდან

## დავით გობაჯიშვილის პერსონალური მემორიალი

**ნიუ-იორკი.** წლეულს პირველად ჩატარდა მსოფლიო სუპერთაისის ვითამშვება თავისუფალ ჭიდაობაში, რომელსაც მასპინძლობდა პენსილვანიის შტატის ქალაქი პიტსბურგი.

ამ პრესტიჟულ ასპარეზობაში საბჭოთა მოჭიდავეთაგან ოქროს მედლები მოიპოვეს ელმადი ჯაბრაილოვი (82 კგ) და მახარბეკ ხაღარცევი (90).

ჩვენი გუნდის ხუთ წევრს წილად ზედა ვერცხლის მედლები. ესენი არიან: დავით გობაჯიშვილი (130 კგ), ახმეტ აბაგოვი (100 კგ), ნასირ გაჯინაშვილი (74 კგ), ბორის ბუღაივი (68 კგ), სერგეი ბულოგაშვილი (62 კგ). არსენ ჯაბაივი (68 კგ) ბრინჯაოს მედალი ერგო.

## შოთა ჩოჩიუაშვილი — საერთაშორისო ფესტივალის მონაწილე

**31 დეკემბერს** მოსკოვში ლუჟნიცის მცირე სარბილი დათმობა პაროქიარული მოჭიდავეთა და მოჭიდავეთა საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეებს. ამ უჩვეულო შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ინგლისის, საბჭოთა კავშირის, აშშ-სა და იაპონიის წარმომადგენლები — უმთავრესად კარატისტები, ძიუდოისტები, სამბისტები, კეტჩისტები და მოკრივეები. მკაცრად ნახავენ სხვადასხვა დროის ოლიმპიურ, მსოფლიო, ევროპისა და აზიის ჩემპიონებს — ბრედ რეიგანსს (აშშ), შოთა ჩოჩიუაშვილს, სალმან ხასიმოვიჩს, ვანა ევლოვიჩს (სამხრეთ-სსრ კავშირი), ტესტუ რიესს, მასა საიტოსს, ხოსე ხიროსისს, ხასიმო-

## ჩოჩიუაშვილი — სიასლისაკენ!

**„ლელო“** მეტეორული და ფიზიკური გულშემატკვრელი იცინის, რომ 26 დეკემბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონის საჯარო დასახლებაში ერთმანეთს შეხვდნენ სპორტული ჟურნალისტები, ფეხბურთის ფულსმეტაკეცივრები და სპეციალისტები. ა. ჟღერის მოკლემეტრეაქიანი ფილმის „გვერდები თუ არა სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?“ ჩვენების შემდეგ გაიმართა აზროთა ურთიერთგაზიარება რესპუბლიკის საფეხბურთო ცხოვრების მომავალ ბედზე. იმავე შეხვედრაზე შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, მან 28 დეკემბერს იქვე გამოართულ პირველ სხდომაზე ჩამოაყალიბა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც მოამზადებს რეკომენდაციებს ახალი საფეხბურთო ფედერაციის შექმნა-დაფუძნებისა და მისი სტატუსის შესახებ, გამოითქვა სრული თანხმობა, რომ ძველი ფედერაციის რეორგანიზაციის შემდეგ ახალმა დამოუკიდებელმა უნდა გადაწყვიტოს პრობლემები და სადავო საკითხები, აქტიურად ექცეოს საერთაშორისო საფეხბურთო ფედერაციებში გაერთიანების გზებში. „ლელო“ რედაქცია, ითვალისწინებს რა საკითხის განსაკუთრებულ სერიოზულობას, ახალი საფეხბურთო ფედერაციის შექმნამდე წყვეტს ამ საკითხში საერთაშორისო ეროვნულ ჩემპიონატთან დაკავშირებულ კამათს, რათა ორგანიზაციულმა მშვიდვითარებაში, გარედან დაწოლის გარეშე შეასრულოს მასზე დაკისრებული რთული ფუნქცია.

დაეძინო, რომ რედაქციას გამოადგებოდა აქვს ქუთაისელ გულშემატკვრელთა დიდი ჯგუფის (მ. ბრეგაძე და სხვები, სულ 50-ზე მეტი ხელმოწერა), პავლე პატარქალიძის, ვლადიმერ კეკელიძის, ავთანდილ ქვალაშვილის, აკაკი ფოცხვერაშვილისა და სხვა ავტორთა უაღრესად საინტერესო წერილები, რომლებსაც, თუ ეს საჭირო გახდა, ახალი საფეხბურთო ფედერაციის შექმნის შემდეგ გამოაქვეყნებთ.

**ინფორმაცია**

ამ წლის ბოლომდე მკვლევართა ბოლო სტატისტიკა, ალბათ, სსრ კავშირის კრუსმენტა თასის ვითამშვების ფინალური ასპარეზობა, რომელიც აშხაბადში გაიმართა. ეს ერთდღიანი ტურნირი შეტყვევების პირველი ეტაპი იყო ქვეყნის ნაკრების,

# რესპუბლიკური ფიზიკულ-სპორტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კავშირების გაუმჯობესების კონსერვის პროექტი

რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დასამყიდრებლად, ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობის საბოლოო გამარჯვების მისაღწევად დასახული კომპლექსური პროგრამის განხორციელებისათვის თანამედროვე სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ერის სიჯანსაღეს, მის ფიზიკურ მზადყოფნას როგორც შრომისთვის, ისე კონსტიტუციურ მონაპოვართა დაცვისათვის, დემოკრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანსაღი მომავლისათვის.

მიუხედავად ძალის, მშენიერიების, სიჩაუქისკენ ქართველი ხალხის ტრადიციული სწრაფვისა, რესპუბლიკაში კიდევ ბევრი მუშაობაა ჩასატარებელი ფიზიკულ-სპორტულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის სასურველ დონემდე ასაყვანად, ამ სფეროში ჯერ კიდევ ვერ მოვია სრულად ასახვა ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესებში.

რესპუბლიკაში მოძრაობა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი სრულყოფისათვის უნდა წარმართოს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

1. მასობრივ სპორტულ და ფიზიკულ-სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა;
  2. დიდი სპორტის შემდგომი სრულყოფა;
  3. ფიზიკურ კულტურასა და სპორტში სამეცნიერო და ექსპერიმენტული საქმიანობა;
  4. ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივი-ფიზიკური კადრების მომზადება;
  5. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და მისი შემდგომი განვითარება.
- შეფოთებას იწვევს მოზარდთა შორის ჯანმრთელობიდან გადახრის საკმაოდ დიდი პროცენტები. კატასტროფულად მატულობს ქარბონოზანთა და სუსტი ფიზიკური აღნაგობის მოზარდთა რიცხვი. მომავალი თაობის გამაჯანსაღებისათვის აუცილებელია საბავშვო დაღებში შეიქმნას ფიზიკულ-სპორტული და სპორტის დანერგვა-განვითარების აუცილებელი პირობები. ამასთან, დაინერგოს ფასიანი მომსახურება. სკოლამდელ დაწესებულებებში უნდა შეიქმნას ფიზიკური მეთოდის შტატი, შემოიღონ გამოსავლენიანი გამოცდების ჩატარების პრაქტიკა ფიზიკური აღზრდაში. მოწვევით ახალგაზრდობის ფიზიკური მომზადების გაუმჯობესების მიზნით საქაროა, გაფართოვდეს ფიზიკური აღზრდის მეცნიერებათა მოცულობა (გაკვეთილები, კლას-გარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა) კვირაში 8-10 საათამდე დატვირთვით. ფიზიკულ-სპორტული და სპორტის ხანგრძლივობა უნდა გაიზარდოს 80 წუთამდე. ეს აამაღლებს მოთხოვნას კადრებზე, უნდა გაიზარდოს მისაღები კონტინგენტი სპეციალურ სასწავლებლებში.
- ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებისა და კლასგარეშე მუშაობის პროგრამებში უნდა შევიდეს და დაინერგოს ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ელემენტები. რესპუბლიკის კლი-

მატური პირობების გათვალისწინებით დაინერგოს ფიზიკური კულტურის განვითარების დია ცის ქვეშ ჩატარების პრაქტიკა, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური მეცნიერების ჩატარება სპორტული და სპორტული მეცნიერების მიზნით. საქაროა, უმაღლეს სასწავლებლებში და სპორტში ყველა კურსზე დიფერენცირებული ჩათვლების შემოღება. მიზანშეწონილად ჩაითვალოს სპორტული და სპორტული მეცნიერების სასწავლებლებში აბიტურიენტთა ფიზიკური მომზადების შესაძლებელი ნორმატივების თანდათანობითი გართულება და ლონისძიებების შემუშავება, რათა გაიზარდოს ფიზიკური მომზადების ნიშნის (ჩათვლის) მნიშვნელობა. უმაღლესი სასწავლებლების ბიუჯეტში ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ერთ სტუდენტზე დაიხარჯოს 8-10 მანეთი წელიწადში.

რადიკალურად უნდა გარდაიქმნას ფიზიკულ-სპორტული და სპორტული საქმიანობა სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ყველა შრომით კოლექტივში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 100 კაცს აღემატება, შემოიღონ ინსტრუქტორ-მეთოდის შტატი, შემუშავდეს სოფლად ფიზიკულ-სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის თვისებრივად ახალი სისტემა საოჯახო იქარისა და კოოპერაციული მოძრაობის განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით. საქაროა, დაწესდეს შრომით კოლექტივებში იმ მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური და მორალური წახალისების კონკრეტული სისტემა, რომლებიც ფიზიკულ-სპორტულ-სპორტულ მუშაობაში აქტიურად არიან ჩაბმული და ამის შედეგად წლის განმავლობაში არ ხარვეზდებიან საავადმყოფო ფურცლებით. იწვევითაა მეცნიერებების პირობებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავდეს რეკომენდაციები ტიპობრივი სპორტული ნაგებობების მშენებლობისათვის.

გარკვეულ დეცენტრალიზაციის მოთხოვნის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების მართვა. ძალაუფლება უმეტესად უნდა მიეცეთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებს.

ფიზიკულ-სპორტულ-სპორტული მუშაობის ცენტრი გადაიტანონ შრომითა და სასწავლებელ და საცხოვრებელ ადგილებთან, რაც, თავის მხრივ, უნდა განმტკიცდეს მართვის შესაბამისი სტრუქტურით, დაფინანსებით, ინფორმაციულ-მედიკალურ შტატებითა და ინსტრუქციებით, ფიზიკური კულტურისა და სპორტისთვის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის შექმნით.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს რესპუბლიკაში მატერიალ-

## პირველი ადგილი — სპორტის ანგარიშის ნომერში

პირველი ლივის კალათბურთულ ქალთა საკავშირო პირველობის მეორე ნახევარი (III და IV ტურები) 13 იანვარს დაიწყება. მანამდე კი... საშუალება მოგვეცა გამოვაქვეყნოთ პირველობის წრის საბოლოო ცხრილი. ქართველ გულშემატკვრელთა სასიხარულოდ საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის გუნდი გათამაშებაში პირველ ადგილზეა:

სპი. (თბილისი)	22	17	5	39
ტბტ (რედა)	22	17	5	39
„ბანა“ (ქაუნი)	22	14	8	36
„სტრონი“ (ფრ.)	22	13	9	35
„ვოლნი“ (ლენინგ.)	22	13	9	35
„სპარტ“ (სიმფერ.)	22	11	11	33
„კრ.ოქსაი“ (როსტ.)	22	10	12	32
„ურალმაში“ (სვ.)	22	10	12	32
„შრ. რეკ.“	22	9	13	31
„სტალი“ (დნეპრ.)	22	8	14	30
„უბკ (ტარტუ)	22	7	15	29
„სპარტ“ (პენზა)	22	4	18	26

**წოდების მინიჭება**

საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მინიჭა:

კრეფი — ხალა ჯავახაძეს (ქუქთაისი, „შეგარდენი“), სპარტაკ ჯავახიძეს (მესტია, „შეგარდენი“), დავით გუბლიას (სოხუმი, „შეგარდენი“)

კლასიკური ჭიდაობაში — ავთან-

ურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეს, რომელიც საგრძობლად ჩამორჩება მოსახლეობის დღევანდელ მოთხოვნებს.

მოსახლეობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელია 2000 წლამდე სხვადასხვა უწყებებისთვის 300 მილიონი მანეთის გამოყოფა. სპორტული ბაზების საბაზისო ღირებულება თითოეულ კაცზე 2400 წელს უნდა მიაღწიოს 50-55 მანეთს, ნაცვლად დღევანდელი 20-21 მანეთისა.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის მართვის ერთიანი სისტემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ექსპერიმენტის სახით, რამდენიმე საქალაქო და სასოფლო-სამეურნეო რაიონში გაერთიანდნენ ადგილობრივი ფიზიკულ-სპორტული ორგანიზაციები.

ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისთვის რესპუბლიკის ბუნებრივი პირობები. სპაროა დიდი ქალაქების გარეუბნებში მოეწყოს ტურისტული ტრანსები, უნდა ქალაქის რაიონულ ცენტრებში თუ სხვა ტიპის დასახლებათა გარეუბნებში — დასვენების ზონები, სათანადო სპორტული ბაზებით, ცალკეული წარმოება-დაწესებულებების მშრომელთა ერთობლივი დასვენების მიზნით წყალსაცავებზე გაკეთდეს სათანადო სპორტული ბაზები, ყველა კულტურისა და დასვენების პარკებში მოეწყოს ჯანმრთელობის, აგრეთვე ველობილიები, სხვადასხვა მარტივი ტიპის მოედნები (განათებით), სპორტული ინვენტარის გაშვარებელი პუნქტები.

საქაროა, ამაღლდეს მალაქვალი ფიციურ სპორტსმენთა მომზადების დონე. შეინარჩუნოს საკითხი უმაღლესი დონის სპორტული სკოლების ბაზაზე ნაკრები გუნდების მომზადებად ცენტრალური სპორტული კლუბის შექმნის შესახებ. გაიზარდოს საქართველოს სპორტსმენთა წარმომადგენლობა სპორტული თამაშებში.

საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის და საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციის შესაბამისად შედარებით მაღალი რეკომენდების ეკონომიკისა და სოციალური სფეროს შემოსავლის გაზრდის მიზნით საერთაშორისო პირობებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფართოდ დაინერგვით უზრუნველყოფილი იქნეს ერის ფიზიკური სრულყოფა და სიჯანსაღე.

სარეგინთაშორისო ეკონომიკური და სოციალური პროგრამების შედეგისას საქართველოს სსრ რეკონსტრუქციის თვისებურებების, რელიეფის, კლიმატური პირობების მიხედვით გათვალისწინებული იქნეს ფიზიკულ-სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის ფართოდ გაშლილ-სათვის საქაროა სამუშაოები.

„ლელო“



# რესპუბლიკური ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების კონსერვაციის პროექტი

ზიზლიროთი

(დასასრული)

ბათა მიხედვით. (ფიზკულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, გაზეთ „ლელო“ რედაქცია, სპორტსახეობი; 1990 წ.).

10. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ხალხურ ეროვნულ თამაშობათა შესწავლას და მათი სასწავლო პროგრამებში შეტანას. (ფიზკულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი; 1990 წ.).

11. საქართველოს ფიზიკური კულტურის კვლევითი ინსტიტუტის და საექიმო ფიზიკულტურის დისპანსერის ბაზაზე შეიქმნას სპორტული შერჩევისა და პროგნოზირების ლაბორატორია. (კანონმდებლობის დაცვის სამინისტრო, სპორტსახეობი; 1990 წ.).

12. შემუშავდეს ინვალიდებთან ფიზკულტურულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის ღონისძიებათა სპეციალური გეგმები. (საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო, სპორტსახეობი, ფიზიკური კულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი; 1990 წ.).

13. შემუშავდეს ერთიანი დებულება ყველა ტიპის სასწავლებლებში წლის საუკეთესო ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის გამოავლინება. (პროფსახეობი, სახალხო განათლების სამინისტრო, სპორტსახეობი; 1990 წ.).

14. შემუშავდეს საფარმოდო ტანვარჯიშის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდისა წარმოების ტექნოლოგიისა და სპეციალური გათვალისწინებით. (ფიზიკური კულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი; 1990-1992 წწ.).

15. დაიხვეწოს ფიზიკური კულტურის პროგრამა განმარტების რეგულაციებში მომეცადინებისათვის სქესისა და ასაკის გათვალისწინებით. (საქართველოს ი. შერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, ფიზიკური კულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი; 1990-1995 წწ.).

16. უზრუნველყოფილი იქნეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საფორმული და შეჯიბრების პროცესების მართვა გამოთვლითი ტექნიკის დახმარებით. (საქსპორტსახეობი; 1991 წლიდან).

## X. გამაჯანსაღებელი და სპორტული მემდიცინის უმჯობესი განვითარება

1. შემუშავდეს ღონისძიებები ფიზიკური დატვირთვის, სხვადასხვა სახის ფიზიკური აქტიურობისა და თვითკონტროლის მეთოდური რეკომენდაციები. (საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო; 1990 წ.).

2. მასობრივად ჩატარდეს საექიმო დაკვირვება ფიზკულტურისა და სპორტში მომეცადინებთა ჯანმრთელობაზე, მათი საექიმო გამოკვლევა, მონიტორინგი და წამყვანი სპორტსმენების დისპანსერობა, საფორმული პროცესის საექიმო პედაგოგიური შემოწმება. (სამედიცინო ფიზკულტურის დისპანსერი; სისტემატურად).

3. შემუშავდეს და დაინერგოს სპორტსმენებზე საექიმო დაკვირვების უახლესი მეთოდის, დიფერენციალური, მკურნალობისა და პროფილაქტიკის, სპორტული ტრავმატების თავიდან აცილების ფორმები. ჩატარდეს პრო-

ფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი სამკურნალო ღონისძიებები, მოეწყოს სამედიცინო-სპორტული კონსულტაციები. (სამედიცინო ფიზკულტურის დისპანსერი; სისტემატურად).

4. უზრუნველყოფილი იქნეს ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებების ჩატარება მედიკო-ბიოლოგიური საშუალებებით. გაძლიერდეს შეჯიბრებისა და მეცადინეობის ადგილებზე სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისადმი ზედამხედველობა, აღდგენითი საშუალებებით მომარაგება. გაუმჯობესდეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივ სახეობებში სამედიცინო მომსახურება. (ფიზკულტურული დისპანსერები, საფორმული სამმართველო; სისტემატურად).

5. განხორციელდეს ღონისძიებათა კომპლექსი და გაიზარდოს ფიზიკური აღზრდის შედეგებით რაციონალურ-ჰიგიენური პირობებში, მიმართული იმ ფაქტორების აღმოსაფხვრელად, რომლებიც არაკეთილ შემთხვევებს ასდენენ ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობის პროცესებზე. (საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი; სისტემატურად).

6. განხილულ იქნას საკითხი რესპუბლიკური ანტიდოპინგური სამსახურის შექმნის შესახებ. (საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო; 1990 წ.).

## XI. სპორტის სამხედრო-ტექნიკური სახეობების განვითარება

1. შეიქმნას სასწავლო წრე სპორტის სამხედრო გამოყენებით სახეობებში ორგანიზაციებში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 100-ზე მეტია. (სამინისტროები, უწყებები, დონაფის ორგანიზაციები 1990 წ.).

2. შეიქმნას სპორტულ-ტექნიკური კლუბები ორგანიზაციებში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 300-ზე მეტია. (სამინისტროები, უწყებები, დონაფის ორგანიზაცია; 1990 წ.).

3. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში არსებულ შესაძლებლობათა გათვალისწინებით შეიქმნას ავტო და მოტომოტოციკლითა, სროლის, საწყლის ტექნიკური სახეობების, სამხედრო ტექნიკური წრეები და სექციები. (სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომები, დონაფის ორგანიზაციები; 1990 წ.).

4. განხილულ იქნას საკითხი სპორტის სამხედრო გამოყენებით და ტექნიკური სახეობებისათვის განვითარების უწყვეტი უზრუნველყოფის გამოშვების შესახებ. (სპორტსახეობი, დონაფის ცენტრალური კომიტეტი; 1990 წ.).

## XII. დიდი სპორტის უმჯობესი განვითარება

1. შეიქმნას ზოგადსაგანმანათლებლო სპორტული პროფილის სპეციალიზებული და კომპლექსური საშუალო სკოლები, სპორტის სახეობების მიხედვით (სახალხო განათლების სამინისტრო, სპორტსახეობი; 1990-1992 წწ.).

2. ამაღლდეს მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადების ღონისძიებების მიხედვით ბავშვთა სპორტულ სკოლებში, რის შედეგადაც გაფართოვდეს ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლების ქსელი. (საქართველოს პროფსახეობი, სახალხო განათლების სამინისტრო, „დინამო“, „შრომითი რეზერვები“, სპორტსახეობი; 1990-2000 წწ.).

3. განხილულ იქნეს რესპუბლიკის 5 რეგიონში ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლების გახსნის საკითხი. (საქართველოს სპორტსახეობი, სახალხო განათლების სამინისტრო; 1990-1992 წწ.).

4. შესწავლილ იქნეს საკითხი უმაღლესი დონის სპორტული სკოლების ბაზაზე ნაერები გუნდების მოსამზადებლად ცენტრალური სპორტული კლუბის შექმნის შესახებ. (სპორტსახეობი; 1990 წ.).

5. გაიზარდოს საქართველოს სპორტსმენთა წარმომადგენლობა ოლიმპიურ თამაშებში. (საქართველოს პროფსახეობი, სახალხო განათლების სამინისტრო, „დინამო“, „შრომითი რეზერვები“, სპორტსახეობი; 1992-2000 წწ.).

6. გატარდეს კონკრეტული ღონისძიებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში საერთაშორისო ფედერაციებში გასაწევრიანებლად. (სპორტსახეობი, 1990-1992 წწ.).

7. 1991 წლიდან საქართველოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს სპორტის სრული სუვერენიტეტი. (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, სპორტსახეობი).

## XIII. კადრების მომზადების გაუმჯობესება და კვალიფიციაციის ამაღლება

1. შესწავლილ იქნეს რეგიონალურად კადრებთან მუშაობის მდგომარეობა, სპეციალისტებზე მოთხოვნა. ადგილებზე ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით. (საქართველოს სპორტსახეობი, სახალხო განათლების სამინისტრო, ნფს რესპუბლიკური საბჭო; 1990 წ., I კვარტალი).

2. შემუშავდეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა სამუშაოდან მოუწყვეტლად სწავლების კომპლექსური პროგრამები. (სპორტსახეობი; 1990 წ.).

3. გაორმაგდეს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტისა და ფიზკულტურის ტექნიკუმის მაღალი კურსების სტუდენტთა სპორტულ სკოლებში, საწარმო-დაწესებულებებში და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან სტაჟირების პრაქტიკა. (საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი; სისტემატურად).

4. განხილულ იქნეს საკითხი ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტებისათვის საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კვალიფიციაციის ამაღლების ფაკულტეტის ბაზაზე (ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში) დასაქმებულ მუშაკთა და სპეციალისტების მომზადების შესახებ. (საქართველოს პროფსახეობი, სახალხო განათლების სამინისტრო, სპორტსახეობი; 1990 წ., I კვარტალი).

რტის სფეროში დასაქმებულ მუშაკთა უწყვეტი განათლების მოზიდვის მიზნით სპეციალური ინსტიტუტის შექმნის შესახებ. (საქართველოს კომიტეტი, სახალხო განათლების სამინისტრო, სპორტსახეობი; 1990 წ., I კვარტალი).

5. დამუშავდეს წინადადებები ფიზიკური კულტურის სპეციალისტების მომზადების კონტინგენტის ზრდის შესახებ მოსალოდნელი მოთხოვნის შესაბამისად. (სპორტსახეობი, სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს პროფსახეობი, სამინისტროები და უწყებები; 1990 წ.).

6. განხილულ იქნას საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში სამკურნალო ფიზკულტურისა და მასაჟის სპეციალობის შემოღების საკითხი (სპორტსახეობი; 1990-1991 წწ.).

## XIV. ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდა

1. გაუმჯობესდეს ტელევიზიისა და რადიოს მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის მიმდინარე გადამცემების გაშუქება. (საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი; სისტემატურად).

2. ამაღლდეს რადიოსა და ტელევიზიის გადაცემათა ეფექტურობა, შეიქმნას სამეცნიერო-პოპულარული და მიმოხილვითი პროგრამა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ თემატიკაზე. (საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი).

3. ფართოდ გაშუქდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივი სპორტული მუშაობის მოწინავე გამოცდილება.

4. გამოიცეს მეთოდური პროგრამები, ბუკლეტები და წიგნები ფიზკულტურისა და სპორტის მიმდინარეობის შესახებ. (სპორტსახეობი, საქართველოს სახალხო განათლების სამინისტრო, პროფსახეობი, ნფს; 1990 წ.).

5. დამზადდეს სპორტის სახეობების მიხედვით სხვადასხვა სახის ატრიბუტიკა, რისთვისაც გამოიყენდეს კონსერვაციები. (სპორტსახეობი, საქართველოს სახალხო განათლების სამინისტრო, პროფსახეობი, ნფს; 1990 წ.).

6. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სპორტის ეროვნული სახეობების აღდგენა-აღორძინებას. (რესპუბლიკური და ადგილობრივი ინფორმაციის საშუალებები. სისტემატურად).

7. ფართოდ გაშუქდეს რესპუბლიკური პრობლემატიკისა და ნეშინობატიკის. (რესპუბლიკური და ადგილობრივი ინფორმაციის საშუალებები; სისტემატურად).

8. შეიქმნას სრულმეტრაჟიანი სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი ქართული სპორტის ისტორიის შესახებ. (საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი, სპორტსახეობი; 1990-1991 წწ.).

9. რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საქართველოს სპორტის სუვერენიტეტის განხორციელების პროცესს.

## სად იმყოფებოდა სოსხის „დინამო“?



## „ფაზისი“ მესხრა აღმოჩნდა

ამ შეკითხვით მოგვმართა გავრიდან ბ. ლასურია. იგი გვწერს: „გავიგე, რომ სოსხის „დინამოს“ უკვე შექმნილია, მაგრამ როგორც ჩანს, ბ. ლასურიას ეს ინფორმაცია გამოწვეულია მხედველობიდან. ჩვენმა სოსხელმა კორესპონდენტმა თენგიზ პაქორობამ ამას წინათ გვაცნობა, რომ 3-დან 15 დეკემბრამდე სოსხელში იმყოფებოდნენ უზგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. დამეცხვი იყო ამხანაგური მატჩები, რაც არ შედგა მასპინძელ ქვეყნებში იმეამდ შექმნილი სიტუაციის გამო. სამაგიეროდ დედგაციამ, რომლის შემადგენლობაში 50 კაცი შედიოდა, პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა უცხოეთის საფეხბურთო კლუბებთან მომავალი თანამშრომლობისათვის.“

„უიბრად-89“-ის მესამე ეტაპის სტარტზე ოცდასამი იანტა გამოვიდა. მსოფლიოს გარშემო იალქნიანი რევატის მონაწილეებმა აბჯრად უნდა გაიარონ საკმაოდ რთული ტრასა ავსტრალიის პორტ ფრი-მანტილიდან ახალი ზელანდიის ნაბიჯამდე. ეტაპი (იგი დაიწყო, შობის წინა დღეს) საკმაოდ რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობს — მაღალი და დაბალი წნევის ზონების ზღვარზე. იქმნება იმის საშიშროება, რომ ნავი მოხვდეს მაღალი წნევის ზონაში და შობის იგი, უსათუოდ უქაროდ დარჩება. ქარი კი მთავარი მოკავშირეა. ამიტომ სტარტიდანვე ყველა სამხრეთისკენ 40-იანი სივარდისკენ მისმრფავოდა, სადაც ჩვეულებრივ, ოკეანის ტალღები მძებნარებზე. აქამდე უპირატესობა ორანძიანი ხომალდების მხარეს იყო. მაგრამ

მესამე ეტაპზე ინიციატივა ხელთ ივდეს პატრია ნავებმა. ჯერჯერობით ლიდერობს საფრანგეთის „შარლ ეურდენი“, რომელიც ახალზელანდიურ ნავებს „ფიშერ ენდ პაიკელსა“ და „სტერილაგერს“, შესაბამისად, 10 და 11 მილს უშვებს. „ფაზისზე“ ეკიპაჟის ნაწილობრივი შეცვლა მოხდა. სამი მონაწილე დასვენების მიზნით შინ დაბრუნდა. მათი ადგილები ლუბლორებმა დაიკავეს. ნავის კაპიტანია გამოცდილი ამერიკელი მეზღვაური სკოპ ნოვაკი. სტარტიდან ოთხი დღის შემდეგ „ფაზისი“ მეტეზრე ადგილზეა. ფინიშამდე მას 2274 მილი აქვს გასავლელი.

„სპორტპროგნოზი“  
გაპროგნოზირებულია „სპორტპროგნოზი“ შეჯამა „სპორტპროგნოზის“ 1989 წლის 52-ე ტრაჟის შედეგები.  
ტრაჟი დაშვებულია 2.889.695 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (528) მოგება 82 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (10.618) — 8 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (78.524) — 3 მანეთი.  
საქართველოში: დაშვებულია 174624 ვარიანტი. 13-16, 12-349, 11-2773.  
52-ე ტრაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 13 იანვრიდან 13 თებერვლის ჩათვლით.

„სპორტპროგნოზი“  
გაპროგნოზირებულია „სპორტპროგნოზი“ შეჯამა „სპორტპროგნოზის“ 1989 წლის 52-ე ტრაჟის შედეგები.  
„სპორტპროგნოზი“ 6 45“-დან: ტრაჟი დაშვებულია 1.625.021 ვარიანტი. ექვსი ნომერი არავის გამოუცვნიან. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (21) მოგება 3768 მანეთია, ოთხისთვის (1706) — 42, სამისთვის (30987) — 3.  
საქართველოში: დაშვებულია 38433 ვარიანტი. 6 — 0, 5-2, (ქიათურა, რუსთავი), 4-56, 3-862.  
„სპორტპროგნოზი“ 5 86“-დან: ტრაჟი დაშვებულია 18.226.342 ვარიანტი. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (58) მოგება 9.430 მანეთია, ოთხისთვის (9.122) — 118 მანეთი, სამისთვის (277.643) — 4 მანეთი.  
საქართველოში: დაშვებულია 509.594 ვარიანტი. 5-3 (ფოთი, თბილისი-2), 4-301, 3-7.630.  
52-ე და 43-52 ტრაჟებში მონაწილე ათტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 13 იანვრიდან 13 თებერვლის ჩათვლით.

„სპორტპროგნოზი“  
გაპროგნოზირებულია „სპორტპროგნოზი“ შეჯამა „სპორტპროგნოზის“ 1989 წლის 52-ე ტრაჟის შედეგები.  
„სპორტპროგნოზი“ 6 45“-დან: ტრაჟი დაშვებულია 1.625.021 ვარიანტი. ექვსი ნომერი არავის გამოუცვნიან. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (21) მოგება 3768 მანეთია, ოთხისთვის (1706) — 42, სამისთვის (30987) — 3.  
საქართველოში: დაშვებულია 38433 ვარიანტი. 6 — 0, 5-2, (ქიათურა, რუსთავი), 4-56, 3-862.  
„სპორტპროგნოზი“ 5 86“-დან: ტრაჟი დაშვებულია 18.226.342 ვარიანტი. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (58) მოგება 9.430 მანეთია, ოთხისთვის (9.122) — 118 მანეთი, სამისთვის (277.643) — 4 მანეთი.  
საქართველოში: დაშვებულია 509.594 ვარიანტი. 5-3 (ფოთი, თბილისი-2), 4-301, 3-7.630.  
52-ე და 43-52 ტრაჟებში მონაწილე ათტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 13 იანვრიდან 13 თებერვლის ჩათვლით.

„სპორტპროგნოზი“  
გაპროგნოზირებულია „სპორტპროგნოზი“ შეჯამა „სპორტპროგნოზის“ 1989 წლის 52-ე ტრაჟის შედეგები.  
„სპორტპროგნოზი“ 6 45“-დან: ტრაჟი დაშვებულია 1.625.021 ვარიანტი. ექვსი ნომერი არავის გამოუცვნიან. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (21) მოგება 3768 მანეთია, ოთხისთვის (1706) — 42, სამისთვის (30987) — 3.  
საქართველოში: დაშვებულია 38433 ვარიანტი. 6 — 0, 5-2, (ქიათურა, რუსთავი), 4-56, 3-862.  
„სპორტპროგნოზი“ 5 86“-დან: ტრაჟი დაშვებულია 18.226.342 ვარიანტი. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (58) მოგება 9.430 მანეთია, ოთხისთვის (9.122) — 118 მანეთი, სამისთვის (277.643) — 4 მანეთი.  
საქართველოში: დაშვებულია 509.594 ვარიანტი. 5-3 (ფოთი, თბილისი-2), 4-301, 3-7.630.  
52-ე და 43-52 ტრაჟებში მონაწილე ათტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 13 იანვრიდან 13 თებერვლის ჩათვლით.

გვანდო პილაპირანი.  
წერილებისთვის — 380096,  
თბილისი, ლენინის ქ. 14,  
დებეშაძისა და თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:  
წერილების განყოფილება — 93-97-55,  
სამაგნი — 93-97-52,  
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,  
„მერანი“ — 93-97-28, „მარათე“ — 93-97-27.

გვანდო პილაპირანი.  
წერილებისთვის — 380096,  
თბილისი, ლენინის ქ. 14,  
დებეშაძისა და თბილისი, „ლელო“.

საქართველოს კვ. ც.-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭედება ოცხეტური წიხით საგაზეთო კორპუსში: ხოზარაულის, 29.  
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 19598

რედაქტორი  
თ. ბაჩანილაძე